კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცდა „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“.

საგულისხმოა, რომ ეს ბრძანება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, ვინაიდან იგი ითვალისწინებს კონკურსის ტენდერის მსგავსად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებასა და ჩატარებას.

ბრძანებით დაინერგა საკონკურსო პირობების დადგენისა და საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტის გამოვლენის ახალი მეთოდი. შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო პირობებში განსაზღვრავს ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონებს. თავის მხრივ, ხარისხის კრიტერიუმები სხვადასხვა ტიპებად იყოფა. იმისათვის, რომ გამოვლინდეს გამარჯვებული პრეტენდენტი, შემსყიდველმა ორგანიზაციამ, სისტემაში განთავსებული ხარისხის შეფასების მატრიცის გამოყენებით, უნდა გამოითვალოს კონკურსში წარდგენილი საკონკურსო წინადადებების ხარისხის ჯამური შეფასება, რომელიც, სისტემის მეშვეობით, აგრეგირდება ფასთან. საბოლოოდ, აგრეგირების შედეგად, სისტემა ავტომატურად გამოავლენს საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტს.

ბრძანება ამოქმედდება 2015 წლის 1 ივლისიდან.

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები იხილეთ თანდართულ ბმულზე.